საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
პლენუმის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N127/1

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-12 მუხლის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი
ა დ გ ე ნ ს:

1. საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 20^1, 20^2, 20^3, 20^4, 20^5 და 20^6 მუხლები:

„მუხლი 20^1. გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის დისტანციურად ჩატარების თაობაზე

1. განსაკუთრებული ვითარების არსებობისას, საქმის განმხილველი კოლეგია/პლენუმი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციური სარჩელის განმწესრიგებელი ან/და არსებითი განხილვის სხდომის ზეპირი მოსმენის დისტანციურად, ტექნიკური საშუალების გამოყენებით, გამართვის თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ეცნობებათ მხარეებს. სხდომის დისტანციურად ჩატარება დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

3. მხარე ვალდებულია სხდომის დისტანციურად ჩატარებასთან დაკავშირებით პოზიცია (თანხმობა ან უარი) წარმოადგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების მათთვის გაცნობიდან 3 დღის ვადაში. სხდომის დისტანციურად ჩატარებასთან დაკავშირებით მხარის უარყოფითი პოზიცია წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

4. მოპასუხე მხარე უფლებამოსილია, სხდომის დისტანციურად ჩატარებაზე უარი განაცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზეპირ განხილვაში ფიზიკურად მონაწილეობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასასაბუთებლად.

ხსენებულთან დაკავშირებით მოპასუხე მხარემ უნდა წარმოადგინოს წერილობითი დასაბუთება.

5. თუ საქმის განმხილველი სასამართლო არ გაიზიარებს მოპასუხე მხარის პოზიციას საქმის განხილვაში ფიზიკურად მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ, იგი საქმის ზეპირი მოსმენის დისტანციურად გამართვის შესახებ იღებს წერილობით განჩინებას.

6. დისტანციურად გასამართი ზეპირი მოსმენის თარიღს განსაზღვრავს კოლეგიის/პლენუმის თავმჯდომარე.

7. გადადებული დისტანციური სხდომა, ამ მუხლით დადგენილი პირობების დაცვით, შესაძლებელია გაგრძელდეს ორდინალური წესით და პირიქით, ორდინალური წესით დაწყებული სხდომა შესაძლებელია გაგრძელდეს დისტანციური წესით.

მუხლი 20[2]. დისტანციური სხდომა

1. დისტანციური სხდომა მიმდინარეობს ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რომელიც საქმის განხილვის მონაწილეებს აძლევს ერთმანეთთან აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის რეალურ დროში დამყარების შესაძლებლობას.

2. დისტანციური სხდომის მიმდინარეობისას გამოიყენება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დადგენილი ზოგადი წესები, სხდომის დისტანციურობის თავისებურებების გათვალისწინებით.

3. თუ საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლის სრულფასოვანი გამოკვლევა მოითხოვს მის ფიზიკურ დათვალიერებას/ადგილზე შესწავლას, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დისტანციური სხდომის გადადების თაობაზე. დისტანციური სხდომა შეიძლება გაგრძელდეს მას შემდეგ, რაც მხარე(ებ)ს მიეცემათ შესაბამისი მტკიცებულების დათვალიერების გაცნობის შესაძლებლობა. ეს წესი არ გამოიყენება, თუ მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს/გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც შესაბამისი მტკიცებულება არის წარმოდგენილი ან/და შესაბამისი ფაქტი/გარემოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 31-ე მუხლის შესაბამისად არ საჭიროებს მტკიცებას.

4. დისტანციურ სხდომაზე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოკვლევა დაუშვებელია.

მუხლი 20[3]. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მონაწილეობა დისტანციურ სხდომაში

1. საქმის განმხილველი მოსამართლე დისტანციურ სხდომაში შეიძლება ჩაერთოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის დარბაზიდან ან საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაში განთავსებული მისი სამუშაო ოთახიდან.

2. მოსამართლის ციფრული სახელი განისაზღვრება შემდეგნაირად: მოსამართლე [სახელი, გვარი]; სხდომის თავჯდომარე: [სახელი, გვარი].

მუხლი 20[4]. დისტანციური სხდომის ორგანიზება და სხდომის მონაწილეთა იდენტიფიკაცია.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახური ადგენს დისტანციურ სხდომაში მონაწილე პირების ნუსხას. სიაში მიეთითება:

ა. მონაწილე პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

ბ. ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომერი;

გ. სტატუსი, რომლითაც მონაწილეობას იღებს სხდომაში.

2. დისტანციურ სხდომაში მონაწილე პირები ვალდებულნი არიან თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი. სხდომის მონაწილის მიერ დისტანციურ სხდომაში მონაწილეობისთვის შერჩეული ტექნიკური საშუალება უნდა იძლეოდეს ვიდეო გამოსახულების და ხმის გონივრული ხარისხით გადაცემის შესაძლებლობას.

3. მოპასუხე და მოსარჩელე მხარეები დისტანციურ სხდომას უერთდებიან სხდომის დაწყებამდე არანაკლებ 30 წუთით ადრე.

4. დისტანციური სხდომის დაწყებამდე, მდივანი ამოწმებს დამსწრე პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემებს, დამსწრე პირთა ვინაობის დადასტურება ხორციელდება მათ მიერ დისტანციურ რეჟიმში წარმოდგენილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტებისა და საქმის მასალებში მითითებული მონაცემების შედარებით. სხდომის დაწყებამდე მოწმდება დისტანციური სხდომის ჩასატარებლად და ჩასაწერად აუცილებელი ტექნიკური პირობების არსებობა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების შემდგომ, მონაწილე პირთა ციფრული სახელები განისაზღვრება შემდეგი პრინციპით: მოპასუხე მხარე: [სახელი, გვარი] ან მოსარჩელე მხარე: [სახელი გვარი].

6. მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის ან/და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის გაფრთხილება ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ხდება ზეპირად, სხდომის თავმჯდომარის მიერ. ამავე დროს, საორგანიზაციო სამსახური უზრუნველყოფს ხსენებული პირებისათვის გაფრთხილების ტექსტის წინასწარ გაგზავნას, რომლის ადრესატის მიერ მიღების საკითხს ამოწმებს სხდომის თავმჯდომარე პასუხისმგებლობის შესახებ

ზეპირად გაფრთხილებამდე. ამ პუნქტში მითითებული სტატუსით ჩართულ პირთა ციფრული სახელი განისაზღვრება: [სტატუსი: სახელი, გვარი].

მუხლი 20[5]. სასამართლოს დისტანციური სხდომების საჯაროობის უზრუნველყოფა

1. დისტანციური სასამართლოს სხდომა არის ღია და პირდაპირი ტრანსლირების გზით გადაიცემა საჯაროდ.

2. დისტანციური სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შემთხვევაში, წყდება სხდომის შესაბამისი ნაწილის ტრანსლირება.

მუხლი 20[6]. დისტანციური სხდომების მართვის ტექნიკური ჯგუფი

1. დისტანციური სხდომის ტექნიკურ მართვას, აგრეთვე, სხდომის თავმჯდომარის მიერ სხდომის მიმდინარეობისას გაცემული მითითებების ტექნიკურ აღსრულებას უზრუნველყოფს სხდომის მდივანი ან/და დისტანციური სხდომების მართვის ტექნიკური ჯგუფი.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტისა და სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსები ადგენენ დისტანციური სხდომების მართვის ტექნიკურ ჯგუფს. ჯგუფს ხელმძღვანელობს საორგანიზაციო სამსახურის უფროსი.

3. ჯგუფი შეარჩევს დისტანციური სხდომის ჩატარებისთვის საჭირო ტექნიკურ საშუალებას. ტექნიკური საშუალება უნდა იძლეოდეს რეგლამენტის 20[1]-20[6] მუხლებში ჩამოყალიბებული ტექნიკური წესების აღსრულების და სხდომების ჩაწერის შესაძლებლობას.

4. სხდომის დაწყებამდე, ჯგუფი ახორციელებს დისტანციური სხდომის ჩასატარებლად საჭირო ტექნიკურ ღონისძიებებს და ამოწმებს სხდომის მონაწილე პირთა ტექნიკური ინფრასტრუქტურის მზაობას დისტანციური სხდომის ჩასატარებლად.

5. ტექნიკური ჯგუფი ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რაც აუცილებელია რეგლამენტის 20[1]-20[6] მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსასრულებლად.

6. თუ სხდომის მიმდინარეობისას გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რაც ხელს უშლის სხდომის ჩატარებას, სხდომის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას ტექნიკური შესვენების გამოცხადების თაობაზე. სხდომა გაგრძელდება ხარვეზის აღმოფხვრის შემდგომ.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მისი საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

3. ეს დადგენილება გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

მერაბ ტურავა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

მანანა კობახიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი